# ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №მომს/37/Q/12

წინამდებარე ხელშეკრულება დაიდო 2012 წლის „ 14 “ თებერვალი, ქ. თბილისში

**შემსყიდველი:** **შპს „საქაერონავიგაცია“,**

ადმასრულებელი დირექტორის **ევგენია მირიანაშვილის** სახით,

**მისამართი:** ქ. თბილისი, აეროპორტი 0158, ტელ. 274-42-12.

**საბანკო რეკვიზიტები:** სს ბანკი „რესპუბლიკა“, ბანკის კოდი 220101757; ა/ა 005467067 ს.კ. 208144051.

**მიმწოდებელი -** ი/მ „ლერი ბოგვერაძე“;

**მისამართი, ტელ -** ქ. ქუთაისი, სულხან-საბას 8; ტელ: 599 10 19 56

**საბანკო რეკვიზიტები -** სს „თიბისი ბანკი“, ქუთაისის ფილიალი, ა/ა GE51TB0300000360201054.

ერთის მხრივ - **შემსყიდველი**, და მეორეს მხრივ - **მიმწოდებელი**, ადასტურებენ, რომ მათ შორის მიღწეულია შეთანხმება შემდეგზე:

## 1. ხელშეკრულების ობიექტი

1.1. ხელშეკრულების ობიექტს წარმოადგენს ავტომწის დაქირავება ქ. ქუთაისში, კოპიტნარის აეროპორტში შპს „საქაერონავიგაციის“ კუთვნილი ტვირთის DVOR ILS/DME ტვირთის ჩამოსვლასთან დაკავშირებით 4 კონტეინერის ჩამოსაცლელად.

1.2. შესყიდვის ობიექტის CPV 45510000.

1.3. შესყიდვის განხორციელების საშუალება: გამარტივებული შესყიდვა, საქართველოს მთავრობის განკარგულება №1390, 05.07.11 წ.

## 2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1 400 ლარს (1 დღე – 350 ლარი).

2.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებელ გადასახადებს (მათ შორის დღგ).

## 3. მომსახურების გაწევის ვადა და მიღება-ჩაბარების წესი

3.1. მიმწოდებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება უნდა უზრუნველყოს 2012 წლის 16 - 19 თებერვალს;

3.2 გაწეული მომსახურების მიღება-ჩაბარება განხორციელდება ორივე მხარის უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ ხელმოწერილი მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.

## 4. ანგარიშსწორების წესი

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 (ოცი) კალენდარული დღის განმავლობაში.

4.2. ანგარიშსწორების ვალუტა – ლარი.

4.3. გადახდის ფორმა: უნაღდო.

## 5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი ვალდებულია: ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან;

5.2. შემსყიდველი უფლებამოსილია: განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე, რისთვისაც გამოყოფს უფლებამოსილ პირს – დ. ტაბატაძეს (ლოგისტიკის სამსახურის უფროსი). წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით დ. ტაბატაძე ადასტურებს რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად იგი არ არის ინტერესთა კონფლიქტში მიმწოდებელთან.

5.3. მიმწოდებელი ვალდებულია:

- უზრუნველყოს მომსახურების გაწევა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში;

5.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია:

- მოითხოვოს შემსყიდველისაგან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების დროული გადახდა.

## 6. მხარეთა პასუხისმგებლობა, ფორს-მაჟორული სიტუაციები

6.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

6.2. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან, თუ მათ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო ფორს-მაჟორული პირობების გამო. ასეთ შემთხვევაში მხარეები სამი დღის ვადაში აცნობებენ ერთმანეთს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს. რის შემდეგაც ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორს-მაჟორის გაგრძელების ვადით ან ხელშეკრულება მოიშალოს მხარეთა შეთანხმებით.

## 7. დავის გადაწყვეტა

7.1 სადაო საკითხებს მხარეები გადაწყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე, თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნება მიღწეული დავის წამოჭრიდან ერთი თვის განმავლობაში, მხარეები მიმართავენ სასამართლოს.

## 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

8.1. ხელშეკრულება ძალაში შედის ზემომითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2012 წლის 31 მარტამდე.

## 9. დასკვნითი დებულებები

9.1. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და ინახება ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეებთან.

## 10. მხარეთა რეკვიზიტები

| შემსყიდველის მხრიდან | მიმწოდებლის მხრიდან |
|---|---|
| შპს „საქაერონავიგაცია“ | ინდ. მეწარმე „ლერი ბოგვერაძე“ |
| აღმასრულებელი დირექტორი | |
| ევგენია მირიანაშვილი | ლერი ბოგვერაძე |